გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

26 დეკემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2020

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0313 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ალექსანდრე რუსეცკი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლია სანიკიძე, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინა გვაძაბია, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტში 2011 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2014 წელს და ამ პერიოდის განმავლობაში (ბოლო 5 წელი) ჩარიცხულია 690 სტუდენტი. ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობაა 391. პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებაზე. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის შემუშავების და განვითარების ეტაპზე ჩატარდა რამდენიმე კვლევა კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობით. მათი მიზანი იყო შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების საჭიროებებისა და მომავლის ხედვის კვლევა. კვლევების მიგნებები ასახულია პროგრამაში, რაც მის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ხუთ ძირითად მიმართულებად არის დაყოფილი: 1. საბაზისო; 2. ზოგად-თეორიული; 3. დარგობრივი; 4. კვლევის მეთოდები და 5. არჩევითი კურსები; ამგვარი დაყოფა სრულებით აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნას და ბაკალავრის ხარისხისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი აკრედიტაციის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები ასევე აუმჯობესებს დასახული მიზნების მიღწევის სტრატეგიას. პროგრამის ასარჩევ საგნებში გამოიყო სამი ბლოკი (სპეციალიზაცია თუ კონცენტრაცია): კლინიკური ფსიქოლოგია; შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია; განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია.

პროგრამაში, სწორედ პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გამრავალფეროვანდა სასწავლო საგნები თითოეული ბლოკის მიმართულებით. პროგრამის საგნებს დაემატა პრაქტიკა ფსიქოლოგიის კვლევაში და ასევე, თითოეულ ბლოკს დაემატა სხვადასხვა პრაქტიკული საგანი შესაბამისი მიმართულებით (პრაქტიკა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში და პრაქტიკა განათლების და განვითარების ფსიქოლოგიაში).

პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ მათი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ წარმატებულად დასაქმდნენ შრომის ბაზარზე ან გააგრძელონ სწავლა შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურზე. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც დაეხმარება აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში.

## აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საქართველოს უნივერსიტეტს აკრედიტაციის კომისია 2019 წლის 26 დეკემბერს ეწვია. ინსტიტუტმა კომისიას მუშაობის კარგი პირობა შეუქმნა. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. კომისია მუშაობდა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მისცა მიეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე. კომისიას ჰქონდა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. შეხვედრა გაიმართა მოწვეული და აკადემიური პერსონალის ნაწილთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის დროს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის. სატელევიზიო სტუდიის, ბიბლიოთეკის და სტარტაპ - ლაბორატორიის დათვალიერება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

არსებითად პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან: 1. პროგრამის მიზნებთან; 2. სწავლების მეთოდოლოგიასა და ორგანიზებასთან, პროგრამის შეფასების ადეკვატურობასთან; 3. სტუდენტთა მიღწევებთან და მათთან ინდივიდუალურ მუშაობასთან; 4. სწავლების რესურსებით უზუნველყოფასთან; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებთან. პროგრამის სასწავლო გეგმა, დისციპლინების ჩამონათვალი სრულებით აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. დისციპლინათა სემესტრული განაწილება ლოგიკურია. პროგრამას უძღვება კვალიფიციური პროფესორი და მის განხორციელებაში მონაწილეობს გამოცდილი და მომზადებული აკადემიური პერსონალი.
ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**პროგრამის განითარება (1.1)**

- „უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით" სასურველია ამ სტანდართან პროგრამის ადაპტაცია.

**დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებით (1.2)**

- სასურველია პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებულ მომავალ კვლევებში გაიმიჯნოს სამი მიმართულება - <u>თვითდასაქმება; სტუდენტთა დასაქმება: კურსდამთავრებულთა დასაქმება.</u>
- სასურველია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ კარიერის დაგეგმარების სტრატეგია. ამ შემთხვევაში, პრაქტიკების გაცნობიერებული დაგეგმარება და სტუდენტის სადიპლომო ნაშრომის შექმნის პროცესის კომპლექსური ორგანიზება ხელს შეუწყობდა სტუდენტების ეფექტურ დასაქმებას.

**პროგრამის ინტერნაციონალიზაცის პოლიტიკა (2.2)**

- ინტერნაციონალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე სასურველია, რომ გაიზარდოს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა იმ მიმართულებებით, რაზეც პროგრამა აკეთებს აქცენტს. პროგრამამ უფრო ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო საპარტნიორო ქსელის მდიდარი შესაძლებლობები და შექმნას ახალი.
- სასურველია, რომ დადებული მემორანდუმების მონიტორინგის სისტემა იყოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი და აფიქსირებდეს ამა თუ იმ ხელშეკრულების შესრულების ხარისხს გარკვეული პარამეტრებით.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით (2.3)

- კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია რომ არჩევით საგნებში შევიდეს ადიქტოლოგია. ეს არის დამსაქმებლის და საზოგადოების ფართო ფენების ინტერესშიც.
- სასურველია რომ შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ბლოკში ნათლად ჩანდეს კავშირი საინჟინრო ფსიქოლოგიასთან და ეკონომიკურ ფსიქოლოგიასთან. მით უმეტეს შრომაც და ორგანიზაციაც ეკონომიკურ კატეგორიებად განიხილებიან.
- სასურველია განათლების ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატოს რამდენიმე საგანი განათლების ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ მაგალითად:
  - სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები
  - ინფორმაციის აღქმის თავისებურება და ა.შ.
  - მოზრდილთა სწავლების თავისებურება

სამეცნიერო კვლევების სტიმულირება და სტუდენტთა ჩართულობის ზრდა (2,4)

- სასურველია მე-6 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში ახალგაზრდა მკვლევარის უნარჩვევების განვითარებაზე ზრუნვა.
- სტუდენტის და პროფესორის თანამშრომლობის მთავარ პროდუქტს წარმოადგენს სრუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომი. სასურველია რომ შემდეგ თვითშეფასების დოკუმენტში იყოს ასახული ამ კომპონენტის შაფასება.

- საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოთეკებში განთავსების და მათი გამოყენების შესაძლებლობა ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი კულტურის პოტენციალის ზრდას და სტუდენტების ინტეგრაციას სამცნიერო კვლევებში.
- სასურველია. რომ მოხდეს სასწავლო პორცესის უზრუნველყოფა თვალსაჩინო მასალაებით და ცალკეული ხელსაწყოებით.

- სასურველია შეიქმნას ნაშრომების ერთიანი ელექტრონული ბაზა. ეს გაზრდის ტრანსპარენტულობას და შესაბამისად - ხარისხს.

სტუდენტებთან ურთიერთობის პოლიტიკა (3.0)

- სასურველია, სილაბუსებში მითითებული იყოს საკონსულტაციო საათები იმისათვის, რომ სტუდენტებს ამ გზითაც (დოკუმენტების სახით) ჰქონდეთ ინფორმაცია დამატებითი სამუშაო საათების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. სჯობს, დაკონკრეტდეს კონსულტაციისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.
- სასურველია რომ იყოს შემოღებული ნორმირებული და არანორმირებული კონსულტაციების პრაქტიკა. განსაკუთრებით კარგ პერსპექტივას წარმაოდგენს ელექტრონული და სატელეფონო კონსულტაციის სისტემა. ეს პრაქტიკაში ხდება, მაგრამ შესამუშვებელია შესაბამისი შეფასების და შრომის ანაზღაურების სისტემა.
- უნივერსიტეტის ცნება სტუდენტების და პროფესორების თანამშრომლობას, ალიანს გულისხმობს. სტუდენტთა და პროფესორთა თანამშრომლობა უნდა იყოს ორიენტირებული ღირებული პროდუქტის შექმნაზე. ამიტომ სასურველია რომ პროგრამაში და უნივერსიტეტში ზოგადად ეს სტრატეგია იყოს განსაკუთრებით კარგად წარმოდგენილი. ეს არა მხოლოდ განათლების ფსიქოლოგიის, არამედ შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს.

სასწავლო პროცესის ტექნიკური გაუმჯობესება (4.3)

- სასურველია სასწავლო პოროცესის დამატებითი უზრუნველყოფა თვალსაჩინო მასალაებით და ცალკეული ხელსაწყოებით (ეს არის პროფესორების სურვილი).

პროგრამის ეკონომიკური განვითარებისათვის (4.4)

- სასურველია, რომ ნათლად ჩანდეს ბიუჯეტის რა ნაწილი მიდის პროგრამის განვითარებზე.
- სასურველია რომ არსებობდეს პროგრამის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ სტუდენტების რაოდენობის პარამეტრზე.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა**

- ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურის („კონტაქტის“) არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიის კულტურის საქართველოში.
- „Project X“ მნიშვნელოვანი პრაქტიკაა იმ მხრივ, რომ სტუდენტებს ყოველკვირეულად აქვთ შესაძლებლობა საკუთარი აზრი დააფიქსირონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, მონაწილეობა მიიღონ პროგრამასთან დაკავშირებულ ცვლილებებში.
- ხაზგასასმელია ტუტორების ინსტიტუტის არსებობა, რომლის ფარგლებში ნებისმიერ სტუდენტს, განსაკუთრებით, დაბალი აკადემიური მოსწრების, დაწყებითი კურსის სტუდენტს შეუძლია დამამთავრებელი კურსის სტუდენტისგან (ტუტორისგან) მიიღოს რეკომენდაციები. ტუტორების მოვალეობაა სწავლის პროცესის დაგეგმვასა და მასალის გააზრებაში ხელის შეწყობა, მხარდაჭერა, რაც როგორც სერვისის მომხმარებლისთვის, ისე დასაქმებული სტუდენტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა.
- კურუკულუმის რუკის არსებობა ახდენს მეტად კარგ ეფექტს. შესაძლებელია სტუდენტებმა გამოიყენონ ასეთი ტიპის მოდელი საგანმანათლებლო პროცესის სტრატეგიული დაგეგმარების დროს.
- ფსიქოლოგების (საბაკალავრო პორგრამის) და სატელევიზიო სტუდიის ეფექტური თანამშრომლობა. გამოჩენილი მეცნიერების მოწვევა სტუდიაში.
- უნივერსიტეტთან არსებული საგანმანათლებლო ერთეულები (სკოლა და ბაღი) და მათი გამოყენება სტაჟირების და პრაქტიკების ბაზად.
- ელექტრონული ჰიგიენის და უსაფრთხოების სისტემები და კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების დაცულობის ხარისხი.
- საჯარო გამოსვლების შიში (პეირაფობია) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ეს ხელს უშლის მეტად ნიჭიერ სტუდენტებს მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზაცია. პროგრამა ამას ითვალისწინებს და სტუდენტებს სთავაზობს სპეცილაურ საგანს.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**რეკომენდაციები არ ყოფილა. აკრედიტაციებს შორის პერიოდში დაფიქსირებულია პროგრამის პოზიტიური ტრანსფორმაცია და ინოვაციური საგანმანათლებლო სერვისებით გამდიდრება.**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის თანახმად, საქართველოს უნივერსიტეტის **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის** მიზანია მოამზადოს ფართო პროფილის ფსიქოლოგები, რომლებსაც ექნებათ ცოდნა შემდეგი მიმართულებებით:<br><br>• მეცნიერული ფსიქოლოგიის ძირითად სფეროების;<br>• ძირითად ფსიქიკურ პროცესების და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების; ადამიანის ფსიქიკური განვითარების ეტაპების და მათი თავისებურებების, სოციალურ სინამდვილეში არსებული პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორის ურთიერთობების კანონზომიერებების;<br>• პიროვნების არსის და მისი შემსწავლელი თეორიების, განწყობის ზოგად ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით ადამიანის ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ;<br>• შეეძლებათ პროფესიული ეთიკის ფარგლებში კვლევის წარმოების ზოგადი პრინციპების გამოყენების, კვლევის თავისებურებებისა და კონკრეტული მეთოდების შერჩევის, რეალური ემპირიული კვლევის დაგეგმვის, ჩატარებისა და მიღებული მონაცემების დამუშავებისა და გააანალიზების უნარი.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კურიკულუმი, სილაბისები და გასაუბრებები სამუშაო ვიზიტის დროს სტუდენტებთან, აფილირებულ და მოწვეულ პროფესორებთან და დამსაქმებლებთან მიღებული ინფორმაცია, წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ პროგრამა უზრუნველყოფს წარმოდგენილ მიზანს და ამოცანებს.<br><br>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ საპროგრამო დოკუმენტში, საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებაში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საბაკალავრო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ზოგად განათლებას და ამავე დროს მათ დაახლოებას სპეციალობებთან და სპეციალიზაციებთან, ეს კი ხელს უწყობს მათი პროფესიული |

იდენტობის დონის და შრომის ხარისხის ზრდას.

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამის ძირითადი საგნები მოიცავს 174 კრედიტს, რომელშიც საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 18 კრედიტითაა განსაზღვრული;

ძირითადი საგნების გარდა, პროგრამა დაყოფილია სამ ბლოკად:

- კლინიკური ფსიქოლოგია
- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
- განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთი რომელიმე ბლოკი და მის ფარგლებში გაიაროს 24 კრედიტის საგნები, ბლოკის შესაბამისი პრაქტიკის ჩათვლით.

დარჩენილი 42 კრედიტიდან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები, როგორც არჩეული ბლოკიდან, ისე სხვა ბლოკებიდან და/ან პროგრამის ასარჩევი საგნებიდან და/ან თავისუფალი კრედიტებიდან. ეს მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის მცოდნე პროფესიონალებით უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობის; ეკონომიკის და მეცნიერება/განათლების სისტემების უზრუნველყოფისათვის.

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში.
- საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სასწავლო დაწესებულების, უნივერსიტეტის მისიასთან.
- მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები და მისი ჩართულობის საერთაშორისო სისტემებში. პროგრამას ჰყავს ორი საერთაშორისო პარტნიორი (გერმანიაში და უკრაინაში) და პროგრამის ხელმძღვანელი გეგმავს სხვა ქვეყნებთანაც ურთიერთობის განვითარებას. ამ თვალსაზრისით ის აპირებს როგორც უნივერსიტეტის საერთაშორისო და საკმაოდ მდიდარი საპარტნიორო ქსელის გამოყენებას და ასევე ახალი პარტნიორების მოძიებას პროგრამის განვითარების სტრატეგიებიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით მეტად პოზიტიური გამოცდილებაა ინგლისური ენის სილაბუსი ფსიქოლოგებისთვის. ეს სერიოზული ნაბიჯია ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გზაზე.
- პროგრამა და ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომი, კარგად შენახული და განიცდის მუდმოვ განახლებას, რაც კარგად აისახება ცვლილებების ფიქსაციაშიც.

პროგრამა განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას, რომელიც ეყრდნომა სტუდენტების,

დამსაქმებლების, შესაძლო დამსაქმებლების და ექსპერტების გამოკითხვებს და სიღრმისეულ სამეცნიერო ანალიზს.ამის შედეგად წინასააკრედიტაციო პერიოდში მოხდა პროგრამის მორიგი განახლება და დაემატა ახალი საგნები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ხელმძღვანელის - ფსიქოლოგიის დოქტორის - ნანა ბურდულის მიერ შედგენილ „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პორგრამა“ საპროგრამო დოკუმენტი/სილაბუსების მონაცემთა ბაზა.
- „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა“.
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით,
- დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის
- ა ნ გ ა რ ი შ ი
- სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი
- სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - დანართი-2
- კავლიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (ეროვნული კლასიფიკაციების ჩარჩო)
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
- პროგრამის მიზნები;

პროგრამის მიზნები ასახულია

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის, ფაკულტეტის/სკოლის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (არსებობის შემთხვევაში);
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მიზნებს, შემუშავებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია ამას ადასტურებს ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგად მიღებული შედეგები, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. განსაკუთრებით ეს აისახება დასქმების პოლიტიკის ეფექტურად განხორციელბაში და პრაქტიკების ეფექტურად წარმოადრთვაში. ინტერვიებიდან ნათლად ჩანს, რომ |

სტუდენტები იყენებენ მიღებულ ცოდნას და უნარებს.

პროგრამა გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტით, ასარჩევი საგნები რესტრუქტურირდა ბლოკების მიხედვით (პროგრამა დაყოფილია სამ „ბლოკად“ (კონცენტრაციების მიხედვით“): კლინიკური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის და განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის ბლოკი) და თითოეულ ბლოკს დაემატა

თავი I.pdf

პრაქტიკების შესაბამისი კომპონენტი.

განსაკუთრებით საინტერესოაა პროგრამის ხელმძღვანელის ზრუნვა შესაბამისი უნარების დადგენაზე და შემდგომ პროგრამის უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო მოდულებით.

ასევე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამის ლეგიტიმურობის ხარისხი. პროგრამის შექმნაში, მონიტორინგში და იმპლემენტაციაში ჩართულია:

- მეცნიერთა გუნდი
- აფილირებული და მოწვეული პროფესორები
- ადმნისტრაცია
- სტუდენტები
- დამსაქმებლები
- უცხოელი ექსპერტები

პროგრამის ხელმძღვანლის მიერ იყო წარმოდგენილი ელექტრონული და ბეჭდვითი ინფორმაცია სასწავლო პროცესის და მისი შედეგების თობაზე. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ამომწურავი ინფორმაცია ამის თაობაზე სტუდენტებისგან და დამსაქმებლებისაგან. ისინი ინტერვიუირების დროს და ასევე (უფრო ფართე წრე) ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ სტუდენტები იოლად ახდენენ პროფესიული ადაპტაციის პროცესს მათ ორგანიზაციებში, ფლობენ საჭირო უნარებს და ცოდნას, მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის და კომპეტენციების ზრდაზე.

**დასაქმების პოლიტიკა**

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- სახელმწიფო ორგანიზაციები
- კერძო ორგანიზაციის (ბანკები, კორპორაციები, სამინისტროები, სააფთიაქო ქსელები, მაღაზიათა ქსელები)
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები,
- საბავშვო ბაღები და სკოლები, ტრენინგ-ცენტრები,
- კვლევითი ორგანიზაციები,
- სასწავლო დაწესებულებების ფსიქოლოგ-კონსულტანტთა სამსახურები,
- ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრები და კლინიკები.

მნიშვნელოვანია, რომ ჩატარდა „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა“. კვლევამ დაადასტურა რომ შერჩეული

დამსაქმებლების კმაყოფილების დონე იყო საკმაოდ მაღალი. ეს ნათლად ჩანდა მათთან ჩვენი უშუალო შეხვედრის დროსაც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩატარდა სპეციალური - „ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით, დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევა". კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდა პროგრამის კორექცია. სახელდობრ ეს შეეხებოდა სტუდენტების ისეთი ცოდნით და უნარჩვევებით უზრუნველყოფას, რომელიც შეესაბამება დამსაქმებლის ინტერესებს.

ასევე მიღებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ სპეციალობებზე, სხვადასხვა პოზიციებზე სადაც შეიძლება იყოს დაინტერესება კურსდამთავერებულების დასაქმების.

თუ დავეყრდნობით ამ ინფორმაციას ნათლად ჩანს რომ ბაზარზე მოთხოვნილება ჩამოყალიბებულია უფრო პირველი ბლოკის ბაკალავრების დასაქმებისთვის, ეს კი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ განათლების ფსიქოლოგებისათვის და შრომა/ორგანიზაციული ფსიქოლოგებისათვის ეფექტური დასაქმების მისაღწევად საჭიროა დამატებითი ძალისხმევები.

**კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში; მოქმედი პროგრამების შემთხვევაში) - 59%**

**კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში) – 41%**

**კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)** - 30% (ეს საკმაოდ დასაფიქრებელი მაჩვენებელია. სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზები ალბათ ითხოვს დამატებიტ გამოკვლევას).

-გარე მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა 47 113 87 28 11

-გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა 15 11 11 19 0

-შიდა მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა 5 4 13 9 5

-შიდა მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა 20 23 18 16 15

პროგრამაში დეკლარირებული სწავლის შედეგები ადეკვატურია იმ რეალურ შედეგებთან რასაც აღწევენ სტუდენტები. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული პროგრამის განხორციელების შედეგების შეფასებების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ეყრდნობა სტუდენტების. პედაგოგების და დამსაქმებლების ურთიერთშეფასების კულტურას. ამ მიმართულებით შეგვიძლია ვიხილოთ შესაბამისი კვლევები. ამის დასტურია მათ მიერ მომზადებული თვითშეფასების გეგმაც. პროგრამაში აღწერილი ცოდნა და უნარები შეესაბამება ეროვნულ საკავლიფაკაციო ჩარჩოს მე-6 დონეს. უნივერსიტეტი ამზადებს კავლიფიცირებულ ბაკალავრებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ფსიქოლოგიის პროგრამის ცვლილებები, ოქმი N27/19 და ოქმი N11/19
- ფსიქოლოგიის პროგრამის საგნებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- აუცილებელი პროფესიული უნარჩვევების მოთხოვნის და შეფასების კითხვარი დამსაქმებლისთვის
- უნივერსიტეტში მირებული განათლების შეფასების ფორმა დასაქმებული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**დასაქმების პოლიტიკასთან დაკავშირებით**

- სასურველია პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებულ მომავალ კვლევებში გაიმიჯნოს სამი მიმართულება - თვითდასაქმება; სტუდენტთა დასაქმება: კურსდამთავრებულთა დასაქმება.
- სასურველია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ კარიერის დაგეგმარების სტრატეგია. ამ შემთხვევაში, პრაქტიკების გაცნობიერებული დაგეგმარება და სტუდენტის სადიპლომო ნაშრომის შექმნის პროცესის კომპლექსური ორგანიზება ხელს შეუწყობდა სტუდენტების ეფექტურ დასაქმებას.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ფსიქოლოგების (საბაკალავრო პორგრამის) და სატელევიზიო სტუდიის ეფექტური თანამშრომლობა. გამოჩენილი მეცნიერების მოწვევა სტუდიაში.
- უნივერსიტეტთან არსებული საგანმანათლებლო ერთეულები (სკოლა და ბაღი) და მათი გამოყენება სტაჟირების და პრაქტიკების ბაზად. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან ერთობლიობაში იძლევა შესაძლებლობას უწყვეტი განათლების მიდგომის რეალიზაციას ერთ სოციალურ სივრცეში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების (ჩარიცხვა/მიღება) პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და უფლება მოსილი პირების ბრძანების საფუძველზე.<br>o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, მსურველთა მუდმივ რეჟიმში და სრულყოფილად ინფორმირების მიზნით ხორციელდება ისეთი აქტივობები როგორებიც არის: „ღია კარის დღეები“, ინფორმაციული ბროშურებისა და ფლაერების ფართო ტირაჟით ბეჭდვა და გავრცელება, სხვადასხვა სამოტივაციო-საინფორმაციო სახის შეხვედრები, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, ბროშურები და ა.შ.<br>o უნივერსიტეტში ინერგება მულტიკულტურალიზმის და შემწყნარებლობის კულტურა და ამის მტკიცებულებაა ის მშვენიერი აუდიტორია და ბიბლიოთეკა, რომელშიც მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები. ეს ქმნის ნდობის და ტრანსპარენტულობის ატმოსფეროს, რაც იზიდავს აბიტურიენტებს და სპეციალისტებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში<br>o საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება<br>o მემორანდუმები<br>o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა<br>o ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 30/08/2016წ_ში(ოქმი N27-16) და ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს (8 სემესტრს).
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამის ძირითადი საგნები მოიცავს 174 კრედიტს, რომელშიც საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა 18 კრედიტითაა განსაზღვრული; ძირითადი საგნების გარდა, პროგრამა დაყოფილია სამ ბლოკად (კლინიკური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის და განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის ბლოკი), საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთი რომელიმე ბლოკი და მის ფარგლებში გაიაროს 24 კრედიტის საგნები, ბლოკის შესაბამისი პრაქტიკის ჩათვლით. დარჩენილი 42 კრედიტიდან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები, როგორც არჩეული ბლოკიდან, ისე სხვა ბლოკებიდან და/ან პროგრამის ასარჩევი საგნებიდან და/ან თავისუფალი კრედიტებიდან რადგან სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმაოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები.
პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება ბაკალავრის ხარისხი

ფსიქოლოგიაში.
პროგრამის მუდმივი დახვეწისა და განვითარების მიზნით ხორციელდება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი) კვლევა. პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი კომპეტენციების მიმართულებით. კერძოდ: სტუდენტი იწყებს ინგლისურ ენას იმ ეტაპიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას, რაც დგინდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების საფუძველზე. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს.

პროგრამა ორიენტირებულია ფსიქოლოგიის სფეროს ფართო ცოდნის უზრუნველყოფაზე, მათ შორის ფსიქოლოგიის მეცნიერების რაობის, ძირითადი მიმართულებებისა და დარგების, განვითარების ისტორიის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს, კერძოდ თითოეული საგნის სილაბუსის ფარგლებში მითითებული დამხმარე და ძირითადი ლიტერატურა და სხვა სსაწავლო მასალა დარგში არსებულ უახლოეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

სტუდენტი პროგრამის ფარგლებში ეუფლება, წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე, პროფესიულ- ეთიკური ნორმების გათვალისწინებით ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიურ და ექსპერიმენტულ ასპექტებს, ახდენს განხორციელებული კვლევის შედეგებისა და მონაცემების დამუშავებას და ანალიზს.

პროგრამას არჩევითი ბლოკის ნაწილში დაემატა შესაბამისი პრაქტიკული კურსები:

პრაქტიკა ფსიქოლოგიის კვლევაში; პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში; პრაქტიკა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში; პრაქტიკა განათლების და განვითარების ფსიქოლოგიაში;

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ასარჩევ საგნებს დაემატა შემდეგი ახალი კურსები: XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები; სოციალური უნარების ტრენინგი პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება ფსიქოლოგიაში;

პროგრამის ასარჩევი საგნების ნაწილში დაემატა საგნები - საჯარო გამოსვლის ტექნიკა; სოციოლოგიის საფუძვლები; ფილოსოფიური აზრის ისტორია.

პროგრამის აღწერაში გამოყენებულია ტერმინი „ბლოკი", რომელიც არ გვხდება განათლების მართვის არსებულ ნორმატიულ დოკუმენტაციაში. სავარაუდოთ იგულისხმება „კონცენტრაცია". საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად კრედიტების რაოდენობა - 30-ა. პროგრამაში ნაჩვენებია - 42, რაც მოითხოვს ახსნას და განმარტებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- უნივერსიტეტში მიღებული განათლების შეფასების ფორმა
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ზოგადი კმაყოფილების ანგარიში
- ფსიქოლოგიის პროგრამის საგნებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- საქართველოს ინივერსიტეტის კურსდამთავრებულების შეფასების ფორმა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- „უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით" სასურველია ამ სტანდართან პროგრამის ადაპტაცია.
- პროგრამა მოითხოვს სტრუქტურულ დივერსიფიკაციას და უფრო ნათლად შესაძლო სპეციალობების; სპეციალიზაციების და ვიწროსპეციალიზაციების გამოკვეთას. ეს გაზრდიდა სტუდენტთა პროფესიულ თვითგამორკვევის ხარისხს

და ოპტაციის ფაზიდან პროფესიული გარკვეულობის და ადაპტაციის ფაზამდე უფრო სწრაფ და ეფექტურ გადასვლას.

**პროგრამის ინტერნაციონალიზაცის პოლიტიკა**

- ინტერნაციონალიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე სასურველია, რომ გაიზარდოს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა იმ მიმართულებებით, რაზეც პროგრამა აკეთებს აქცენტს. პროგრამამ უფრო ეფექტურად შეიძლება გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო საპარტნიორო ქსელის მდიდარი შესაძლებლობები და შექმნას ახალი.
- სასურველია, რომ დადებული მემორანდუმების მონიტორინგის სისტემა იყოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი და აფიქსირებდეს ამა თუ იმ ხელშეკრულების შესრულების ხარისხს გარკვეული პარამეტრებით.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს/მიზნებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.<br>თვითშეფასების დოკუმენტში 10 პუნქტიანი ზოგადი მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტების შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.<br>თითოეული საგნის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მეტ-ნაკლები სიზუსტით აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.<br>აღსანიშნავია რომ პროგრამის განახლების შედეგად გაძლიერდა სწავლების პრაქტიკული მხარე(იხ.ოქმნი N27-19)<br><br>პროგრამის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სავალდებულო და დამხარე ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათ ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის ონლინე პორტალზე. უნივერსიტეტი უზრუნველჰყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას. შერჩეული ლიტერატურა აკმაყოფილებს პროგრამაში წარმოადგენილ მიზნებს და სასწავლო პროცესის ეფექტურობას და როგორც პროგრამის კოორდინატორმა ბრძანა რეგულარულად ხდება მისი განახლება. |
| **მტკიცე**<br><br>**ბმულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში |

| |
|---|
| o სილაბუსები<br>o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა<br>o საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება<br>o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br>o ოქმი N27-19<br>o ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია<br>o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა<br>o ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>**სასწავლო კურსებთან დაკავშირებით (2.3)**<br><br>• კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია რომ არჩევით საგნებში შევიდეს ადიქტოლოგია. ეს არის დამსაქმებლის და საზოგადოების ფართო ფენების ინტერესშიც.<br>• სასურველია რომ შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ბლოკში ნათლად ჩანდეს კავშირი საინჟინრო ფსიქოლოგიასთან და ეკონომიკურ ფსიქოლოგიასთან. მით უმეტეს შრომაც და ორგანიზაციაც ეკონომიკურ კატეგორიებად განიხილებიან.<br>• სასურველია განათლების ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატოს რამდენიმე საგანი განათლების ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ მაგალითად:<br>- სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები<br>- ინფორმაციის აღქმის თავისებურება და ა.შ.<br>- მოზრდილთა სწავლების თავისებურება<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| o |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტთა პრაქტიკული, თეორიული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავება/განვითარებით მათი კვლევით პროექტებში ჩართვის გზით, საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული და აქცენტირებულია პრაქტიკული უნარების გასავარჯიშებელი პროგრამა, სამუშაო შეხვედრები. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება.<br>o დადებული მემორანდუმების შესაბამისად სტუდენტები გადიან პრაქტიკებს პარტნიორ ორგანიზაციებში და ახდენენ მიღებული თორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაზე.<br>o მნიშვნელოვანია რომ სტუდენტებს ეძელვათ შესაძლებლობა შექმნან ინტერესთა ჯგუფები (მათ შორის ინტერდისციპლინური) და მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ჩატარებაში.<br>o განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომების მიმართულებით ორგანიზებული აქტივობებისა და შესაბამისი სამსახურის არსებობას.<br>საქართველოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების (№574/17, 20/10/2017) |

დანართი №6.

- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ რეგულარულ კონფერენციებს და საჯარო ლექციებს და მიიღონ ინფორმაცია ახალი სამეცნიერო კვლევების და ინოვაციური მეთოდების შესახებ.
- პროგრამა ასევე ითვალისწინებს მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებაზე. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ლექციების კურსი საჯარო გამოსვლების თაობაზე, დასძლიონ პეირაფობია და დახვეწონ რიტორიკული ინარები.
- ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარების სერვისის არსებობა. ეს აძლევთ სტუდენტებს შესაძლებლობას გაზარდონ თვითსემეცნების უნარები და მიიღონ პროფესიული კონსულტაციები რაც ხელს უწყობს მათ შრომისუნარიანობას და მოტივაციას.
- სტუდენტები, პროფესორებთან ერთად არიან ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში. ისინი ამზადებენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს.
- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ტრანსფერული უნარები. ეს კარგად გამოჩნდა სტარტაპის ლაბორატორიაში, სადაც სხვა პროგრამების წარმომადგენლებთან ერთად ისინი ქმნიან ერთიან სამუშაო ჯგუფებს და კონკრეტულ პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოების ინტერესებზე. ფსიქოლოგიურ ცოდნას და უნარებს ისინი იყენებენ დასაქმების პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს დასაქმება არაა ახლოს მათ პროფილთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება (დანართი 1)
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება (კვლევა)
- მემორანდუმები
- ERASMUS+ პროგრამა
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- საქართველოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების (№574/17, 20/10/2017) დანართი №6
- ფსიქოლოლიური დახმარების სამსახურის დებულება.
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**სამეცნიერო კვლევების სტიმულირება და სტუდენტთა ჩართულობის ზრდა (2,4)**

- სასურველია მე-6 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში ახალგაზრდა მკვლევარის უნარჩვევების განვითარებაზე ზრუნვა.
- სტუდენტის და პროფესორის თანამშრომლობის მთავარ პროდუქტს წარმოადგენს სრუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომი. სასურველია რომ შემდეგ თვითშეფასების დოკუმენტში იყოს ასახული ამ კომპონენტის შაფასება.

- საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოთეკებში განთავსების და მათი გამოყენების შესაძლებლობა ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი კულტურის პოტენციალის ზრდას და სტუდენტების ინტეგრაციას სამცნიერო კვლევებში.
- სასურველია. რომ მოხდეს სასწავლო პორცესის უზრუნველყოფა თვალსაჩინო მასალაებით და ცალკეული ხელსაწყოებით.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თვითშეფასების დოკუმეტის თანახმად, სასწავლო პროგრამა ხორციელდება სწავლა/სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად.
სახელდობრ:
• ლექცია-სემინარი • წიგნზე მუშაობის მეთოდი • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • დემონსტირების მეთოდი • ინტერაქტიული ლექციები • როლური თამაშები • სიახლეთა გარჩევა • პრაქტიკული მუშაობა • მცირე კვლევების ჩატარება • გუნდური მუშაობა • პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები • კრიტიკული ანალიზი • პროექტებზე დაფუძნებული სწავლება • შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (case study) • ლიტერატურის მიმოხილვა • შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში • წერითი მუშაობის მეთოდი • პრეზენტაციების წარდგენა • დისკუსია-დებატები • ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი

მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემოვიდა ახალი კურსი: პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება ფსიქოლოგიაში;
მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა მიიღონ სისტემური ცოდნა და კარგად ერკვეოდნენ სწავლა/სწავლების ინოვაციურ მეთოდებში. ეს მნიშვნელოვანია პედაგოგებისათვისაც გამომდინარე იქედან რომ არსებობს ახალი მეთოდები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- სილაბუსები
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o საჯარო გამოსვლების შიში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ეს ხელს უშლის მეტად ნიჭიერ სტუდენტებს მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზაცია. პროგრამა ამას ითვალისწინებს და სტუდენტებს სთავაზობს სპეცილაურ საგანს. ეს პრაქტიკა ყველა უნივერსიტეტში შეიძლება დაინერგოს ამ სახით. ალბათ საინტერესო იქნება ამ პრობლემის მინიმალიაზიიც სხვა გამოცდილების გაზიარებაც. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა სილაბუსებს. მათში ნამდვილად ასახულია შეფასების კრიტერიუმები, რომელიც აღნიშნულია თვითშეფასების დოკუმენტში და არ იწვევს არანაირ კითხვებს.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, უწყვეტად ხელმისაწვდომი და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და შეესაბამებიან კურსის სწავლის შედეგებს.

- შეფასებები ადეკვატურია პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებასთან, კვლევითი საგნების, კვლევითი პრაქტიკის და საბაკალავრო პროექტის ფარგლებში.
- ასევე სტუდენტთა შეფასებები გამოსახავს სტუდენტთა ჩართულობასაც სტუდენტურ მასტერკლასებში და კონფერენციებში, რაც ბუნებრივად ამდიდრებს სწავლების მეთოდის მრავალფეროვნებასაც.
- მნიშვნელოვანია რომ ხდება შეფასებული ნაშრომების განხილვა. სუსტ და ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება.
- მნიშვნელოვანია, რომ ინერგება პროგრამის ჩარჩოში შეფასების სხვადასხვა სისტემა. ამიტომ ყველას აქვს შესაძლებლობა პროცესის თანამონაწილის შფასების.
- თვით თვითშეფასების დოკუმენტიც წარმოადგენს ამ კულტურის ნაწილს. და ეს ჩართულობის კულტურის ნაწილიცაა.
- მნიშვნელოვანია რომ სტუდენტები იცავენ საბაკალავრო ნაშრომებს „კომისიური წესით“. როგორც შეიძლება ვივარაუდოთ სტუდენტების გაურკვეველ რაოდენობას გააჩნიათ სხვადასხვა დონის პეირაფობია. ამიტომ ისინი ვისაც ეს პეირაფობია არ აწუხებს როგორც წესია წარმოადგენენ დისკრიმინირებულ უმცირესობას. ამიტომ ოპტიმალური ვარიანტია რომ სტუდენტებს მიეცეთ არჩევის შესაძლებლობა „კომისიურ წესსა“ და „საჯარო გამოსვლას“ შორის.
- მნიშვნელოვანია რომ პროგრამა ამახვილებს ყურადღებას შესაბამის უნარჩევევბზე, სახელდობრ კომუნიკაციის უნარჩვებებზე. ძალიან საინტერესოა, რომ კურსდამთავრებულთა უნარების პოზიტიურ შეფასებას ახდენენ დანსაქმებლები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება
- სილაბუსები

| |
|---|
| o 2014-2019 წლებში ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები<br>o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა<br>o ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | | | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით ინფორმაცია საჯაროა. სტუდენტებისთვის იმართება შეხვედრები იმისათვის, რომ უკეთ გაეცნონ და დაკვალიანდნენ სწავლების პროცესის, საუნივერსიტეტო სივრცისა და რეგულაციების შესახებ.<br><br>აკადემიური პერსონალი სტუდენტებთან აქტიურად კონტაქტობს, აწვდის ინფორმაციას უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით სტუდენტები კონსულტირებას სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორის, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისა და საკვალიფიკაციო ნაშრომების განყოფილების მენეჯერისგან იღებენ. ამავდროულად, უნივერსიტეტში შექმნილია ტუტორების ინსტიტუტი, სადაც ტუტორებად თავად მაღალკურსელი სტუდენტები მუშაობენ და პირველკურსელებს, განსაკუთრებით იმათ ვისაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ, ეხმარებიან სასწავლო პროცესის უკეთ გაგებასა |

და დაგეგმვაში. შეხვედრები, ძირითადად, სასწავლო მასალის განხილვას მოიცავს. სტუდენტებს ტუტორებთან თანამშრომლობა საკუთარი სურვილით შეუძლიათ. აღნიშნული ინსტიტუტის არსებობასა და ფუნქციონირებაზე ინტერვიუირების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელისგან და ტუტორებად დასაქმებული სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაცია მოწმობს.

პერიოდულად, სტუდენტები მონაწილეობას იღებენ „project X-ში", რომელიც მოიაზრებს სასწავლო პროცესში სტუდენტების აქტიურად ჩართვასა და მათი უკუკავშირის მოსმენას, ფასდება პროგრამის მიმდინარეობის ეფექტურობა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების, პროექტების უზრუნველყოფას, სტუდენტებისთვის სტაჟირებების შეთავაზებას, დასაქმების ფორუმების ორგანიზებას და ა.შ.

საქართველოს უნივერსიტეტი, არამხოლოდ, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების დასაქმებაზეა ორიენტირებული, კომუნიკაციას კურსდამთავრებულებთანაც აგრძელებს. იმის გარდა, რომ მათ პროგრამის შეფასების გამოკითხვებში რთავენ, მეილების საშუალებით, ინფორმაცია მიეწოდებათ ვაკანსიების, პროექტების, კონფერენციების შესახებ, რის თაობაზეც კურსდამთავრებულებმა ინტერვიუირების პროცესში ისაუბრეს.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები დამსაქმებლებთან, რაც სტუდენტებს სტაჟირების გავლის, სამუშაოს დაწყების შესაძლებლობას აძლევს. მაგ. „ანოვა", „კავკასიის გეშტალტთერაპიისა და ოჯახური ფსიქოთერაპიის ინსტიტუტი", „მედიქალ ცენტრი", „ნდობა", „პირველი ნაბიჯი", „საქართველოს ბავშვები", „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი" და ა.შ. ინტერვიუირების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია UG ბაღსა და UG სკოლაში, სტაჟირებას გადიან ACT-ში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების გაცვლით პროგრამაში ჩართვას, საერთაშორისო კონკურსების, პროექტების, სტიპენდიებისა და სტაჟირების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და სტუდენტთა შორის გავრცელებას.

საქართველოს უნივერსიტეტს მემორანდუმები უცხოეთის უნივერსიტეტებთან აქვს გაფორმებული (მინესოტას უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ვაშინგტონის, ვილნიუსის, ნებრასკას უნივერსიტეტები და ა.შ.). სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ Erasmus + - ის გაცვლითი პროგრამით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი „კონტაქტი", რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ კვლევებში, სტაჟირებებში, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში. ასევე, ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და თერაპიის ოთახი, სადაც სტუდენტს ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ თერაპიაში ჩართვა შეუძლია, რაც, არამხოლოდ, პირადი კეთილდღეობისთვისაა განკუთვნილი, არამედ ფსიქოთერაპიის სწავლების კუთხით, მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას იძლევა.

პროგრამის ფარგლებში აქტიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტში არსებობს სატრენინგო ოთახი, სადაც იმართება თემატური ტრენინგები (მაგ. „თავის ტვინის რესურსი და ნეიროპლასტიურობა", „არაცნობიერი ცნობიერის პირისპირ"), სტუდენტებს შეუძლიათ დაესწრონ ტრენინგებს.

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, რომელიც სტუდენტებს კლუბების ჩამოყალიბების, ინიციატივების, ღონისძიებების შექმნის, იდეების გაზიარებისა და განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

პროექტებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობაზე უსდ-ს მიერ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შედეგებიც მოწმობს.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების შესახებ. ისინი, პროგრამაზე ჩაბარებისთანავე, ონლაინ MY UG ბაზით სარგებლობას იწყებენ. იმის გარდა, რომ შეუძლიათ ელექტრონულად აირჩიონ საგნები, ნახონ სილაბუსები, ბაზა სტუდენტებს ლექტორებთან კონტაქტის შესაძლებლობას აძლევს (https://my.ug.edu.ge/login.php). სტუდენტები პირადი მეილების საშუალებითაც პროექტების, კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, ვაკანსიების შესახებ იღებენ ინფორმაციას. ამასგარდა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საქართველოს უნივერსიტეტის საიტით, სადაც აღნიშნულ საკითხებზე მოიძიება ინფორმაცია (https://www.ug.edu.ge/ge). უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის იქმნება აკადემიური კალენდარი, რომელზეც მომავალი აქტივობებია მონიშნული.

ინტერვიუირების საფუძველზე დასტურდება სტუდენტების კონფერენციებში, პროექტებში ჩართულობა. მიმდინარე სტუდენტები, ისევე, როგორც კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის მათ პროფესიულ განვითარებაში ჩართულობას.

კონსულტაციის გაწევის ვალდებულება პერსონალის შრომით ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. დასაქმებული ვალდებულია სტუდენტებს დამატებითი მეცადინეობები ჩაუტაროს. ინტერვიუირებაზე გაჟღერდა, რომ სტუდენტებს პირისპირი კონსულტაციის გარდა, შეუძლიათ, ცოცხალი (Live) ჩართვების მეშვეობით შეხვდნენ პერსონალს.

საქართველოს უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების ინფორმირებულობაზე ზრუნავს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუდნეტების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა
- საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა პოზიციის დანიშნულება

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება (კვლევა)
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სილაბუსებში მითითებული იყოს საკონსულტაციო საათები იმისათვის, რომ სტუდენტებს ამ გზითაც (დოკუმენტების სახით) ჰქონდეთ ინფორმაცია დამატებითი სამუშაო საათების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. სჯობს, დაკონკრეტდეს კონსულტაციისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.
- სასურველია რომ იყოს შემოღებული ნორმირებული და არანორმირებული კონსულტაციების პრაქტიკა. განსაკუთრებით კარგ პერსპექტივას წარმაოდგენს ელექტრონული და სატელეფონო კონსულტაციის სისტემა. ეს პრაქტიკაში ხდება, მაგრამ შესამუშვებელია შესაბამისი შეფასების და შრომის ანაზღაურების სისტემა.
- უნივერსიტეტის ცნება სტუდენტების და პროფესორების თანამშრომლობას, ალიანს გულისხმობს. სტუდენტთა და პროფესორთა თანამშრომლობა უნდა იყოს ორიენტირებული ღირებული პროდუქტის შექმნაზე. ამიტომ სასურველია რომ პროგრამაში და უნივერსიტეტში ზოგადად ეს სტრატეგია იყოს განსაკუთრებით კარგად წარმოდგენილი. ეს არა მხოლოდ განათლების ფსიქოლოგიის, არამედ შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ყურადღების და კვლევის საგანს წარმოადგენს. ეს თანამშრომლობაზე ორიენტირებული მოდელია რომელიც ცალკე სტუდენტზე, ან ცალკე პედაგოგზე ორიენტირებული პედაგოგიკის ღირსეული ალტერნატივაა, ანუ - რედუქციონისტული პედაგოგიკის ჰოლისტური ალტერნატივაა. ის კარგად მოდის თანხვედრაში შედეგეზე ორიენტირებულ მიდგომასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აღსანიშნავია, საქართველოს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრის „კონტაქტის“ არსებობა, რომელიც ფსიქოლოგიის ბაკალავრის სტუდენტებს ინდივიდუალურ, ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში ჩართვის, კვლევებში, ტრენინგებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევს.
- „Project X“ მნიშვნელოვანი პრაქტიკაა იმ მხრივ, რომ სტუდენტებს ყოველკვირეულად აქვთ შესაძლებლობა საკუთარი აზრი დააფიქსირონ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, მონაწილეობა მიიღონ პროგრამასთან დაკავშირებულ ცვლილებებში.

| |
|---|
| o ხაზგასასმელია ტუტორების ინსტიტუტის არსებობა, რომლის ფარგლებში ნებისმიერ სტუდენტს, განსაკუთრებით, დაბალი აკადემიური მოსწრების, დაწყებითი კურსის სტუდენტს შეუძლია დამამთავრებელი კურსის სტუდენტისგან (ტუტორისგან) მიიღოს რეკომენდაციები. ტუტორების მოვალეობაა სწავლის პროცესის დაგეგმვასა და მასალის გააზრებაში ხელის შეწყობა, მხარდაჭერა, რაც როგორც სერვისის მომხმარებლისთვის, ისე დასაქმებული სტუდენტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, |

| |
|---|
| სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ პროგრამისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და პრაქტიკული გამოცდილებით, ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი/შესაბამისი უნარები, ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უნივერსიტეტში არსებული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და დოკუმენტით დადგენილი თანაფარდობები დაცულია.<br>როგორც აფილირებულ, ასევე მოწვეულ პრიფესორებთან შხვედრის დროს გამოიკვეთა მათი მაღალი კომპეტენციის დონე და რაც მთავარია - აქტიური პოზიციიზ, სურვილი რომ მათი მონაწილეობით განვითარდეს არსებული პროგრამის ხარისხი.<br>პროგრამის ხელძღვანელი გამოირჩევა არა მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალიზმით, როგორც ფსიქოლოგი, არამედ არის მენეჯერი რომელიც მყისიერად რეაგირებს ცვლილებებზე და ინივაციურ წინადადებებზე და ნერგავს მათ. ამის დასტურია ბაზრის მოთხოვნილებების სამეცნიერო ანალიზზე დაყრდნობით ინიციირებული ტრანსფორმაციები და პროგრამის განახლება. მისი ინიციატივით საქართველოს უნივერსიტეტში შეიქმნა ერთ-ერთი პირველი საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიის სამსახური - პროექტ „კონტაქტის“ სახით რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და დაფასებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები<br>o სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება<br>o საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია<br>o სამსახურის სამუშაოს აღწერები<br>o სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი<br>o სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში |

- o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- o ინტერვიუ პროგრამის დირექტორთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პროექტი „კონტაქტი"

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.<br><br>ეს ხორციელდება როგორც კვლევებით, ისე სამეცნიერო ინსტიტუტისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის წინაშე ანგარიშით განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებთან, გამოქვეყნებულ სტატიებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.<br><br>ამასთანავე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების სტიმულირებასა და წახალისებაზე და ამ მიზნით აქვს შემუშავებული საპრემიო პროგრამა პუბლიკაციებისთვის.<br><br>თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრის დროს დაფიქსირდა, რომ არსებობს პრემიების ფონდი, რომელიც მიეცემა სტატიის ავტორს უნივერსიტეტის მხრიდან. პროფესორებთან შეხვედრაზე ეს ასევე იყო აღნიშნული.უნივერსიტეტში რეგულარუად ეწყობა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს ფდიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განვითარებას. განსაკუთრებით საინტერესოა რეგულარული საჯარო ლექციების პრაქტიკა.<br><br>სტუდენტეი აქტიურად ღებულობს  მონაწილეობის საუნივერსიტეტო კონფერენციებში, მასტერკლასებსა და ტრენინგებში<br><br>უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებას, საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოფებში მონაწილეობის ფინანსურ ხელშეწყობას; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>o პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები<br>o სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება<br>o საქართველოს უნივერსიტეტის  სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია<br>o სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში<br>o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o სამეცნიერო პუბლიკაციების სტიმულირების და დაჯილდოვების პრაქტიკა |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ### 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით, მათ შორის ტექნოლოგიებითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული კლასები, უფასო ინტერნეტი უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, ელექტრონული და |

| |
|---|
| ბეჭდური წიგნების ფონდით და შესაბამისი ელექტრონული ბაზით, ელექტრონული კატალოგით. აუდიტორიები განკუთვნილია, როგორც მცირე ისე ფართე ჯგუფებთან სამუშაოდ.<br>o უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა პასუხობს უმაღლესი სასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. სრულიად დაცულია უსაფრთხოების, სანიტარულ - ჰიგიენური და სხვა ნორმები.<br>o სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების მოქმედი ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს ადმინისტრაციას აკონტროლოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, ხოლო სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, უნივერსიტეტის ვებ - გვერდის და სატელეფონო კონტაქტის საშუალებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში<br>o უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება<br>o აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>• სასურველია სასწავლო პოროცესის დამატებითი უზრუნველყოფა თვალსაჩინო მასალაებით და ცალკეული ხელსაწყოებით (ეს არის პროფესორების სურვილი).<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეხვედრებმა გვაჩვენ, რომ ყველა ის ადამიანი ვისაც ჩვენ ვხვდებოდით კამყოფილი იყო არსებული ვითარებით და საბიუჯეტო პოლიტიკით.
- პროგრამა კომერციული ხასიათისაა და მისი მდგრადი განვითარებისათვის, როგორც ნაჩვენებია ბიუჯეტში, საკმარისია 22 სტუდენტის ჩარიცხვა ყოველ წელს. პროგრამა არაა დოტაციური ხასიათის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ბიუჯეტი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| • სასურველია, რომ ნათლად ჩანდეს ბიუჯეტის რა ნაწილი მიდის პროგრამის განვითარებზე.<br>• სასურველია რომ არსებობდეს პროგრამის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ სტუდენტების რაოდენობის პარამეტრზე.<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის (ასევე, მისი თითოეული კომპონენტის) შინაარსის, საჭირო რესურსის, სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების მიღწევის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შემოწმება და გაუმჯობესება, უფრო კონკრეტულად კი, სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სწავლების პროცესის შეფასება; სწავლების შედეგების ანალიზი პროგრამის შიდა ხარისხის შეფასება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ციკლის ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნულისთვის გამოიყენება სხვადასხვა კვლევითი მექანიზმი. ამ მიზნით გამოიყენება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აგრეთვე, აკადემიური და მოწვეული პროფესურის უკუკავშირი, რომელიც ხორციელდება რეგულარული გამოკითხვების საშუალებით. უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ხარვეზების აღმოფხვრა. ამ პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური და აკადემიური პერსონალი. პროცესის ანალიზით მიღებული შედეგები დისკუსიისა და განხილვის საგანი ხდება, რითაც მიიღწევა ეფექტი. შემუშავებული რეკომენდაციები გამოიყენება სწავლების პროცესის დასახვეწად. ასევე, პოზიტიური ფაქტორების აღმოჩენასა და პროგრამებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის. საქართველოს უნივერსიტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი პერმანენტულ რეჟიმში ზრუნავენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.<br><br>პროგრამის შემუშავება და მისი ხარისხის შეფასება რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით („თავი III საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და |

პროცედურები“; „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები”). სასწავლო პროცესის შეფასება მოიცავს: 1. სწავლის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზსა და გამოყენების ციკლს; 2. სწავლების ხარისხის შეფასების მიმართულებებს და საშუალებებს; 3. სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზსა და რეაგირების პროცედურებს. პროგრამის ცალკეული კომპონენტების (ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და ა.შ) შეფასება მოიცავს
ორ ძირითად მიმართულებას:
ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებასა და ანალიზს;
ბ) სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (საგანი, მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებას და ანალიზს.
მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების აწონვა და პრობლემების მოგვარების სტრატეგიის შემუშავება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ინტერვიუ პროგრამის დირექტორთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის გარე შეფასების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ პირველი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი იყო პირველი გარე ხარისხის შემფასებელი. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში შესულია ცვლილებები: საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, პროგრამა დაიყო ბლოკებად და ამჟამად პროგრამაში სასწავლო კრედიტები შემდეგნაირადაა განაწილებული: პროგრამის ძირითადი საგნები - 174 კრედიტი, ინგლისური ენის ჩათვლით, ითვალისწინებს ფსიქოლოგიის საბაზისო, თეორიული და გამოყენებითი დარგების შესწავლას.<br><br>პროგრამის ასარჩევ საგნებში გამოიყო სამი ბლოკი, კერძოდ, - კლინიკური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის და განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგიის ბლოკი. არჩეული ბლოკიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი, ბლოკის შესაბამისი პრაქტიკის ჩათვლით. მოხდა პროგრამის არჩევითი კურსების |

რევიზია; გადაიხედა სილაბუსები,

გამრავალფეროვნდა ბლოკები ახალი ასარჩევი საგნების დამატებით, მაგალითად, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ბლოკს დაემატა ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები და სოციალური უნარების ტრენინგი.

თითოეული სასწავლო კომპონენტი დაზუსტდა და დეტალურად გაიწერა, როგორც კურსის შინაარსი, ისე საშინაო და პრაქტიკული დავალებები. დაიხვეწა პროგრამის შედეგები, მიზნები, ასევე, ცალკეული სასწავლო კომპონენტების მიზნები, შედეგები.

საქართველოს უნივერსიტეტი რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, აკრედიტაციის სტანდარტებს, მათ შესაბამისობას პროგრამასთან, პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს.

ამ ეტაპზე, პროგრამის განვითარება-დახვეწის მიზნით, პროგრამაში ჩართულია ორი საერთაშორისო ექსპერტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა;
- ვიზიტის დროს მიღებული ინფრომაცია
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

არ გვაქვს

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ გვაქვს

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| არ დასტურდება<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ყველა ჩართული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პოტენციური დამსაქმებლები) კვლევა და შეფასება, შემდეგ ამ მონაცემების დამუშავება და შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br><br>წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შეფასება ხდება შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. შრომითი და დასაქმების ბაზრის კვლევის, კონკურენტების ანალიზის შედეგების, დამსაქმებლების მხრიდან მიღებული რეკომენდაციების, ასევე პროგრამაში ჩართული ლექტორების შეფასებების, სტუდენტთა |

და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის ასახვა ხდება პროგრამაში.

პროგრამის განხორციელების პარალელურად ხდებოდა სასწავლო პროცესის შეფასება ელექტრონული კითხვარების მეშვეობით. ყოველ სემესტრში სტუდენტები აფასებენ განვლილ საგნებს სხვადასხვა კომპონენტის (მათ შორის, შინაარსი, ლიტერატურა) მიხედვით. ასევე ლექტორებს. გარდა ამისა, ყოველი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ დაინერგა ორმხრივი შეფასება (სხვადასხვა კრიტერიუმით): ლექტორი აფასებს ჯგუფს და სტუდენტებიც აფასებენ ლექტორს მიღწეული შედეგების მიხედვით. მიღებული შედეგები უკეთესი ანალიზის და შედარების შესაძლებლობას იძლევა პროგრამული კომპონენტების გაუმჯობესების მიზნით.

შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურა, დამსაქმებლები და თვით სტუდენტიც. პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ესწრებიან ლექტორების ლექციებს. ადგილი აქვს მოსაზრების გაცვლას და თანამშრომლობას ლექციების დახვეწის მიზნით. პროგრამის მონიტორინგი და შეფასებას ხდება რელევანტური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი - კონკურენტი პროგრამების კვლევა და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა და სხვა. მიღებული შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- კითხვარები
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ალექსანდრე რუსეცკი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ლია სანიკიძე

**თინათინ გვაძაბია** 